ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 66

(CPV 39715300 სანტექნიკის მოწყობილობები)

თბილისი

10 დეკემბერი, 2018 წ.

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცებული 2011 წლის 07 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“**, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **გიორგი გაბუნიას** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ - **ი/მ ეკა შველიძის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლისაგან 2 ერთეული დიდი პაკლის (ერთ. ფასი 3 ლ), 2 ერთეული პატარა პაკლის (ერთ. ფასი 1 ლარი) და 16 ერთეული ლატუნის ონკანის (ერთ. ფასი 7 ლარი) შესყიდვა, საკუთარი შემოსავლებით.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **120.00** (ას ოცი) **ლარს**, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, ტრანსპორტირებისა და ყველა სხვა ხარჯების ჩათვლით.

2.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ საქონლის ფაქტიური მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის რეკვიზიტებზე.

მუხლი 3. საქონლის შესაბამისობა

3.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად შესასყიდი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს 10.12.18 წ - 20.12.18 წ. ვადებში;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიწოდების ვადები განსაზღვროს მიმწოდებელთან შეთანხმებით;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შესრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ და რომლის წინასწარ განსაზღვრა, თავიდან აცილება, მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა (ფორს-მაჟორი).

5.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში. ამის შემდეგ შეიძლება განხილულ იქნას მხარისათვის ვალდებულების შესასრულებლად გახანგრძლივებული ვადის მინიჭების შესაძლებლობა.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს მას ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 1%, არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 3 იანვრის ჩათვლით.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

7.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #103

ხელმოწერა _____ გიორგი გაბუნია

მიმწოდებელი:

ი/მ ეკა შველიძე (ს/კ 01030033102) მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #87; საბანკო მონაცემები: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE49BG0000000633126300

ხელმოწერა _____ ეკა შველიძე

მიღება-ჩაბარების
აქტი #66

თბილისი 12/12, *2018წ*

ჩვენ, ამ დოკუმენტზე ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“**, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **გიორგი გაბუნიას** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ - **ი/მ ეკა შველიძის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მხარეებმა შეასრულეს 2018 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ №66 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, შემსყიდველმა მიმწოდებლისაგან მიიღო წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. მუხლით გათვალისწინებული საქონელი, ღირებულებით 120.00 ლარი.

შემსყიდველი

/გიორგი გაბუნია/

მიმწოდებელი

/ეკა შველიძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 10 დეკემბერი **2018** წელი

„ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ 2018 წლის 10 დეკემბერს ი/მ ეკა შველიძესთან დადებული ხელშეკრულებით (cpv 39715300 სანტექნიკის მოწყობილობები) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი: გიორგი გაბუნია ------------------------

შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების კოორდინატორი: ვახტანგ ჯავახია ------------------